განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღებისმიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის (მუხლი24 და მუხლი91)შესაბამისად და განსაზღვრავს 2025 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2025-2028 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2025 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

(პირველი წარდგენა)

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2025 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი ნომინალურ გამოხატულებაში 40 174 200 ლარს შეადგენს.

<u>2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:</u>

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 33 974 200 ლარით;

2024 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით **დღგ** გაზრდილია 16,7%-ით (4 858 600 ლარით). (საფუძველი :საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მ/წლის 04.10.,წერილი N04-03/74747) აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლებელია დაკორექტირდეს დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.

- ***ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6 200 000 ლარს;***

2024 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის ბიუჯეტით საპროგნოზო ოდენობა ქონების გადასახადის სახეში 8,8%-ითაა კლებადია (კლება 600 000 ლარით)

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გრანტებისა და სხვა შემოსავლების გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **ბიუჯეტის გრანტები** ჯამურად განისაზღვრება 40 000 000 ლარით. მათ შორის:

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი **11 100 000** ლარი;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი **28 900 000** ლარი;

2024 წლის თავდაპირველი პერიოდის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ჯამურად გრანტები 53,8%-ით (14 000 000 ლარით) ზრდაშია.

- **სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 5 041 800 ლარის ოდენობით,**

2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები 2024 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ჯამურად 2,6% ით კლებაშია. .თუმცა ცალკეული მოსაკრებლის სახეების მიხედვით თუ განვიხილავთ ,მაჩვენებლები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი**:**

✓ **პროცენტები 230 000 ლარი.**

2024 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 34% იანი კლებით განისაზღვრა .

✓ **რენტა 550 000 ლარი; (32,8 %იან კლებაშია)**

- ✓ **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1 052100 ლარის ოდენობით, (19 %იან ზრდაშია)მათ შორის:**

- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 641400 ლარი; (წინა წლების ფაქტიური შემოსულობების გათვალისწინებით და სამომავლო პროგნოზის გათვალისწინებით ზრდადია შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის მაჩვენებელთან მიმართებაში 42%ით)

- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 360700 ლარი;(გასული წლის თავდაპირველ მაჩვენებელთან მიმართებასი 3% ით ზრდადია)

- ✓ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 50 000 ლარი;(გასული წლის თავდაპირველი მაჩვენებლთან მიმართებაში,მ/წლის სესრულებიდან გამომდინარე კლებაშია 35 0000 ლარით.)

- ✓ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2 900 000 ლარის** ოდენობით (გასული წლის დამტკიცებული ბიუჯეტის თავდაპირველი მაჩვენებლთან მიმართებაში 4,5 %იანით ზრდაშია, გათვალისწინებულია წინა წლების მზარდი ფაქტიური შემოსულობების მაჩვენებელიც.)

- ✓ **შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 309700 ლარი;** (კლებაა 249800 ლარით. გათვალისწინებულია მ/ წლის ფაქტიური შემოსულობის მაჩვენებელი)

- ✓ **გარდამავალი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი (ვალუტა / დეპოზიტები) განისაზღვრა 1 135 000 ლარით;**

- ✓ **შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია 850 000 ლარით;**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 87 201 000 ლარს (2024 წლის შესაბამისი სასტარტო პერიოდის ბიუჯეტის დამტკიცებულ გადასახდელებთან მიმართებაში ზრდადია 17 006 400 ლარით) (ზრდა 24,2%)

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მუნიციპალიტეტში : **1**)პროგრამული ბიუჯეტის სხვადასხვა სფეროებში ადგილობრივი მნიშვნელობის პრიორიტეტული პროგრამების, მიმდინარე და კაპიტალური შინაარსიის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებებისათვის განკუთვნილი ასიგნებების ზრდით. 2)მუნიციპალიტეტის ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების 10% იანი და ზოგიერთ შემთხვევებში უფრო მეტი პროცენტული და საშტატო ერთეულების რაოდენობის ზრდით 2025 წლის 01აპრილიდან . 3)როგორც მერიაში ,ასევე საკრებულოში 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად საჯარო მოხელეთა და პოლიტიკურ თანამდებობათა პირების საბაზო თანამდებობრივი სარგოს(10%) ზრდიდან და 2025 წლის აპრილის თვიდან ერთი საფეხურით სახელფასო შკალის ზრდით არის გათვალისწინებული (2025წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმებისა და საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომისანაზღაურების შესახებ“შესაბამისად.)

<u>2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია ხარჯები შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით :</u>

- **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია- 41 593332 ლარი;**

2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ზრდა შეადგენს 12 186 690 ლარს. (ზრდა 41,4%)

✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა-განისაზღვრა 14 489725 ლარი; (2024 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტთან 10 567633 ლართან მიმართებაში ზრდადია 3 922092 ლარით (37,1%)**

- ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, განხორციელდება საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნები , აგრეთვე 2025 წელშიც გაგრძელდება გაზრდილი ბიუჯეტური ხარჯებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. როგორც წინა წლებში ასევე მომავალი წლისათვის დაგეგმილია მდინარეების შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები ანუ იქნება გასწორხაზოვნებული მდინარეებს კალაპოტი.გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება და გაფართოებული გარე განათების ქსელი კვლავ არის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი ,რისთვისაც გათვალისწინებულია გარე განათების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) წერტების მოვლა-ექსპლუატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; დაგეგმილია დამატებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით კვლავ გაზრდილი ბიუჯეტური ხარჯებით გაგრძელდება ფერდსამაგრი სამუშოების ჩატარება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელედება შემდეგი პროექტები:

- საგზაო მონიშვნები - 70 000 ლარი;
- ვიდეოკამერების ექსპლოატაცია - 350 000 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება - 3 000 000 ლარით;
- ქ. ქობულეთში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულების მიზნით გათვალისწინებულია --250970 ლარი;
- ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №530-ის მიმდებარედ გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია --232877 ლარი;
- ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №318-ის მიმდებარედ გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია --133543 ლარი;
- ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირის N86-ის მიმდებარედ გზის გამყოფისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია 649846 ლარით;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნებისათვის გათვალისწნებულია – 125959 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობაზე მუნიციპალიტეტის სუბსიდია - 1 346 130 ლარია;(შესაბამისი პერიოდის ბიუჯტთან მიმართებაში ზრდადია 340000 ლარით);
- გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებულია - 1 430 400 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების ახალი წერტების მოწყობისათვის საპროგნოზო ხარჯებია - 900 000 ლარი; (შესაბამისი პერიოდის ბიუჯტთან მიმართებაში ზრდადია 200 000 ლარით);
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების-სამუშაოები დაგეგმილია - 6 000 000 ლარით; (შესაბამისი პერიოდის ბიუჯტთან მიმართებაში ზრდადია 3 200 000 ლარით);

✓ **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 10554308 ლარი;(2024 წლის შესაბამისი სფეროს თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტთან 8 337208 ლართან მიმართებაში ზრდადია 2 217 100 ლარით .**

მოწესრიგდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ,ეზოს სკვერები და მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, 2025 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მოწესრიგდება ეზოები/სკვერები, გადაიხურება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

➢ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების მიზნით განხორციელედება 1 498 186 ლარის შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები** :

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა - 500 000 ლარი;
- ქ. ქობულეთი აღმაშენებლის ქ. №1-3 და მემედ აბაშიძის 4-6-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სკვერების კეთილმოწყობა-- - 466 961 ლარი;
- ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №162ბ-ს , მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები - --348775 ლარი;
- ქ. ქობულეთში, კომახიძის №100-ის მიმდებარედ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სკვერის კეთილმოწყობა --- 110194 ლარი;
- ქ. ქობულეთი. სოფელ ბობოყვათში მრავალბინიანი სახლის ეზოს სკვერის კეთილმოწყობა დაგეგმილია --- 72256 ლარით;

➢ **წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის მიმართულებით დაიხარჯება ჯამურად - 7 645 948 ლარი ,როგორც ინფრასტრუქტურის ნაწილში ასევე მხარჯავი დაწესებულებების სუბსიდირებისათვის. ;(ზრდა შეადგენს 3 556 600 ლარს).**

- სოფელ გვარაში (ცენტრი) 2 ერთეული ჭაბურღილის მოწყობა რეზერვუარით, სოფელ ხუცუბანში (ცენტრის მიმართულება) 2 ერთეული ჭაბურღილის მოწყობა, არსებული ჭაბურღილის მილის გასწორება და ახალი მაგისტრალის დამატება, სოფელ ალამბარში 2 ერთეული ჭაბურღილის მოწყობა დასრულდება და ამ მიზნით დაიხარჯება --1 855 185 ლარით. (გარდამავალი 2024-2025 წლის პროექტი.)
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. დაგვაში მე-5 უბნის წყალმომარაგების სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია გათვალისწინებულია -509951 ლარით;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი დაგვას (ლაზისტანში), წყალმომარაგების სისტემების მოწყობა/რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია -- 10 757ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ ხუცუბანში სასმელი წყლის გამანაწილებელი ქსელის მოწყობა დაგეგმილია -- 1 18 734 ლარით;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ წყავროკაში ორი ერთეული ჭაბურღილების მოწყობისათვის დასახარჯი საპროგნოზო ოდენობაა -- 604 127 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუსაოებისატვის გათვალისწინებულია -- 631 984 ლარი;
- შპს "ქობულეთის წყალი"ს სუბსიდირება გათვალისწინებულია – 1 561 110 ლარით; (284800ლარით მეტი 2024 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში)
- ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი"ს დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია – 2 354100 ლარი; (363 200 ლარით მეტი 2024 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში)

➢ **სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვაზე გასაწევი ხარჯების საპროგნოზო ოდენობა შეადგენს ჯამურად - 1 246 584 ლარს; (641900** ლარით მეტი 2024წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში)

განხორციელედება შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების დასრულების მიზნით გათვალისწინებულია -- 1 151734 ლარი;
- სანიაღვრე მილების შეძენა --- 30 000 ლარი;
- ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელი სახლებში არსებული დაზიანებული ცენტრალური კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით გათვალისწინებულია-- 64850 ლარი;

➢ **უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი -** 50 000 ლარი;

➢ **შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური -** 113 590 ლარი;

➢ **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები - 16 549299 ლარი; (6 047498 ლარით მეტი 2024 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში)**

განხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ქალაქ ქობულეთში, ახალი სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობა (I ეტაპი)ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში მდებარე ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუსაოების დასრულებისათვის გათვალისწინებულია -- 7 300 000 ლარი;
- ქ. ქობულეთში, ეკო-პლაჟის სკვერის მოწყობის სამუსაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია -- 1 887848 ლარი;
- ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი №578-ის მოპირდაპირედ სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები დაგეგმილია -- 1 120 826 ლარის ოდენობით;
- ქ. ქობულეთი, მემედ აბაშიძის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები დაგეგმილია -- 1 077350 ლარით;
- ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის №271-ში სკვერის მოწყობის სამუშაოების დასრულებისათვის გათვალისწინებულია - 850 000 ლარი;
- ქ. ქობულეთში სკვერებში ღობეებისა და გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები გათვალისწინებულია 787 473 ლარით;
- ქ. ქობულეთი, 9 აპრილის ქუჩა №109 (დევნილთა სახლი) ეზოს სკვერის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია 350 000 ლარით;
- ქ. ქობულეთი, რუსთაველის №162ა-ში ეზოს (სკვერის) კეთილმოწყობის სამუშაოები დაგეგმილია 237401 ლარით;
- ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141-ში, ეზოს სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოებისატვის დაიხარჯება -- 234792 ლარი;
- ქ. ქობულეთში, თამარ მეფის №88-ს ეზოს/სკვერის ისატვის გათვალისწინებულია -- 32081 ლარი;
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა -- 400 000 ლარით განისაზღვრა;.
- აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი --6 000 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ატრაქციონების შეძენა-მონტაჟის მიზნით დასახარჯი ტანხების საპროგნოზო ოდენობა განისაზღვრა 300 000 ლარით.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპირფარეშოების მშენებლობა/რეაბილიტაციისატვის გათვალისწინებულია 241466 ლარი;
- მუნიციპალიტეტის სასოფლო ცენტრების მოწყობის სამუსაოებისათვის ჯამურად დაიხარჯება -- 1 639800 ლარი; მათ შორის:
    - ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი ციხისძირის ცენტრის კეთილმოწყობა გათვალისწინებულია 436308 ლარი;
    - ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი გვარას ცენტრის კეთილმოწყობა დაგეგმილია 279907 ლარით;

- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი ქვედა აჭყვას ცენტრის კეთილმოწყობა დაგეგმილია 623583 ლარით;
- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლების (აჭი) ცენტრის კეთილმოწყობა დაგეგმილია 300 000 ლარით;

➢ დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 7 6531 45 ლარი;

2024 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 830800 ლარით და რაც 12,2% იანი ზრდის შესაბამისია. **მათ შორის:**

✓ მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები- 5 798380 ლარი მათ შორის:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, ქუჩის მაწანწალა ცხოველების მოვლა და ზედამხედველობა.

- დასუფთავების ღონისძიებები - 85 000 ლარი; (2024 წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან მიმართებაში ტოლია)
- ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება - 5 713 380 ლარი;(936 960 ლარით მეტი 2024 წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან მიმართებაში .ზრდაა 19,6%)

➢ გარემოს დაცვა - 1 854 765 ლარი (293845 ლარით მეტი 2024 წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან მიმართებაში)

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ძირითადად იმ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნარგავები ,რომლებიც არსებულ სკვერებსა და პარკებშია განთავსებული.

- ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება - 952 665 ლარი;(113945 ლარით მეტი 2024 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში)
- ა(ა)იპ ქობულეთის პარკი - 902 100 ლარი;(179900 ლარით მეტი 2024 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში)

➢ განათლების ხელშეწყობა- 12 485 154 ლარი, მათ შორის:

2024 წლის შესაბამისი პერიოდის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებლის ტოლია. ამავე დროს:

- ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხარჯები განისაზღვრა - 10 902 800 ლარით; (გასული წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში ზრდადია 2 714 840 ლარით (33,2%)
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში დასრულდება საბავშვო ბაღის მშენებლობა,რისთვისაც ბიუჯეტით დაანგარიშებულია - 690922 ლარი ; (გარდამავალი პროექტი)
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში დასრულდება საბავშვო ბაღის მშენებლობა, რისთვისაც ბიუჯეტით დაანგარიშებულია - 891432 ლარი; (გარდამავალი პროექტი)

➢ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 7 366 648 ლარი მათ შორის:

2024 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან **6 391 560** ლარი შედარებით აღნიშნული სფერო გაზრდილია 15,3% ით. . ზრდა არის სპორტის მიმართულებით რაც როგორც ინფრასტრუქტურული პროექტით ანუ სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების დაგეგმვითა გამოწვეული, ასევე საკლუბო გუნდებისა და ამ სფეროს მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების ზრდითაა განპირობებული. პროგრამით გაგრძელდება წარმატებულ სტუდენთა დაფინანსებისა და სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისა და მხარდაჭერის მიმართულებებით გათვალისწინებული პროგრამები..

➢ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2 736 348 ლარი; (ზრდა 241 598 ლარი)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა, პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა, გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი. გაიზარდა სპორტის სფეროს მხარჯავი დაწესებულებების სახელფასო ანაზრაურება,სპორტულ ღობნისძიებებში და აქტივობებში ჩართვის /მონაწილეობისა და ზოგადად ხელშეწყობის ხარჯები..

- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა - 786 000 ლარი;(29,9 %ზრდა)
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 235000 ლარი; (145000 ლარით ზრდა) .
  ზრდა განპირობებულია პროგრამული სპორტული ღონისძიებების მატებით,კერძოდ მომავალი წლიდან ახალი ქვეპროგრამით „ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი სპორტის სხვადასხვა სახეობის გაძლიერება და მხარდაჭერა“ დააფინანსებს სხვადასხვა სპორტის სახეობის სპორტსმენებს და ამ მიზნით დამატებით დახარჯავს 100 000 ლარს. ქვეპროგრამა მოიცავს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი ფასიანი სპორტული სახეობების (ოლიმპიური და არაოლიმპიური) დაფინანსებას, როგორიცაა: კალათბურთი, ფეხბურთი, კრივი, ფარიკაობა და სხვა, რომლებიც მუნიციპალიტეტში ფუნქიონირებენ და მათში გაწევრიანებულია გოგონებიცა და ვაჟებიც. დეტალურად პროგრამის ბიუჯეტი და აღწერილობა დანართებითაა წარმოდგენილი.
- სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა -673555 ლარი;(73,7 %ზრდა 285855 ლარი) ზრდა ძირითადად განხორციელდა სახელფასო ფონდის მატებით.ამავე დროს კლუბის სუბსიდირება მოიცავს როგორც ვიცით ქობულეთისა და დაბა ჩაქვის სარაგბო საკლუბო გუნდების ხარჯებს,მის აქტივობებში მონაწილეობისა და ფუნქციონირების ხარჯებს.
- რუსთაველის N174-ში სტადიონის მიმდინარე მოვლა-შენახვის ხარჯი --251718 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასრულდება სტადიონების მშენებლობა/ რეაბილიტაციის გარდამავალი პროექტი,რისთვისაც გათვალისწინებულია 500 000 ლარი;
- შპს ქობულეთის სტადიონი -სუბსიდირება განისაზღვრა 290075 ლარით;

• კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 4 630 300 ლარი;

- პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერას, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ჩატარება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლების" – 1 028100 ლარი;(28,4% ზრდა)
- ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი - 1 352 600 ლარი; (23,6 % ზრდა)

- გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრულის"' – 1019200 ლარი; (46,9 %ზრდა)
- ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი - 424100ლარი; (ზრდა 12,9 %)
- **კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 142 500 ლარი;** ქვეპროგრამის ფარგლებში სულ დაგეგმილია 10 ერთეული ღონისძიება,რომელთაგან ცალკეულ შემთხვევაში ღონისძიების მნიშვნელობისა და მაშტაბურობიდან გამომდინარე გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი ამავე დროს საჭიროებიდან გამომდინარე გაჩნდა ახალი ღონისძიეებიც . 2024 წლის ბიუჯეტთან შედარებით ღონისძიებებში განხორციელდა კორექტირებები. როგორც დასახელების ასევე თანხების მიმართულებით. კერძოდ: გასული წლის 8 ერთეულ ღონისძიებას დაემატა 2 ახალი ღონისძიება, კერძოდ:,,ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული კერძო და საჯარო სკოლების კურსდამამთავრებელ ახალგაზრდებთან შეხვედრა“. ღონისძიების ბიუჯეტია 20 000 ლარი. ასევე ,,სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა“ - ბიუჯეტი 25 000 ლარი.

- **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** - 173 800 ლარი;

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში თანხები მიმართულია ბრენდირების მიმართულებით, რაც მოიცავს სეზონურ ფოტოგრაფიას , დრონით დანახულ ქობულეთს, ვიდეო და ფოტო კადრებს ვიდეო ფროდაქშენს(ცნობილი ადამიანები ქობულეთზე - ქობულეთი სთორებად). გათვალისწინებულია ბათუმის ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა " ექსპო ბათუმი-2024"-ში მონაწილეობისთვის და საგამოფენო ფართით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება მონაწილეებისთვის და საგამოფენო ნივთებისთვის, ტკბილეულით და ტრადიციული კერძებით უზრუნველყოფისათვის სულ 3 დღის განმავლობაში , ტურიზმის სარეკლამო მასალების დამზადებისა - სარეკლამო ბეჭდური მასალები კატალოგის მომზადებაა დაგეგმილი, დამზადდება საფოსტო ბარათები, სუვენირები, სასაჩუქრე ჩანთები. გაიმართება - ფესტივალი სოფლად - მზე სოფელში ანათებს" ღონისძიებისთვის მოეწყობა შესაბამისი ტერიტორია, განხორციელდება მონაწილეთა და საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება, სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა, ქართული სამზარეულოს კუთხის მოწყობა, და კულინარიული მასტერკლასის გამართვა იქნება შესაძლებელი, მოხდება განათებით, აპარატურით და ხმის რეჟისორით უზრუნველყოფა, ღონისძიების წამყვანისა და ბენდის მოწვევა , ტურის ორგანიზება, ღონისძიების დრონით და ვიდეოკამერით გადაღება და მონტაჟი .

- **წარმატებულ სტუდენტთა წახალისება** - 310 000 ლარი;(ზრდა 26,5%)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წლის შესაბამის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან ერთად დამატებით წარმოდგენილია ერთი ახალი პროგრამა, კერძოდ: ,,მედალოსანი მოსწავლეების პრემია“. პროგრამა თავისი შინაარსით გულისხმობს რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კერძო და საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე, ერთჯერადად გადაეცემათ ფულადი პრემია, ოქროს მედლის შემთხვევაში 500 (ხუთასი) ლარი ერთ მოსწავლეზე. ვერცხლის მედლის შემთხვევაში 300 (სამასი) ლარი ერთ მოსწავლეზე. რაც შეეხება წარმატებულ სტუდენტთა წახალისების მიზნით გასაცემი თანხის ოდენობებს შენარჩუნებულია გასული წლის ოდენობები პროგრამა დააფინანსებს გარდა 100% იანი გრანტისა ერთიან ეროვნულ გამოცდებში 70% იანი და 50%იანი გრანტის მქონე სტუდენტებსაც შესაბამისად 2000ლარი,1000 ლარი და 500 ლარის ოდენობით. ხოლო რაც შეეხება უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერად ფინანსურ ხელშეწყობას ,რაც ერთ სტუდენტზე 3000 ლარის ოდენობით შემოიფარგლება .

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება** 180000 ლარი; აღნიშნული ქვეპროგრამა როგორც ვიცით, უკვე მოიცავს ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსების საკითხს ,რომლის ბიუჯეტი 2025 წლისათვის მზრდია;ასევე, პროგრამით გაგრძელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამა.
-

➢ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 8 640700 ლარი:

2024 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან 6 569 850 ლარი შედარებით გაზრდილია 2 070850 ლარით და რაც 31,5 % იანი ზრდის შესაბამისია. ზრდა გამოიხატება როგორც ჯანდაცვის ასევე სოციალური პროგრამების მიმართულებით.

- **ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები- 2 782500 ლარი; (ზრდა 14,7 %)**

პროგრამები ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობასა და მოსახლეობის სოციალური დაცვას. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფას ჯანმრთელობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით .

კერძოდ გათვალისწინებულია ჯანდაცვის სფეროს შემდეგი პროგრამები:

- **იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 14 500 ლარი; (2024 წლის მაჩვენებლის ტოლია)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 2 ბენეფიციარს 2000 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 4 ბენეფიციარს 1000 ლარის ოდენობით, 18 წლის ზემოთ ასაკის გლუტეინის ავადმყოფობით, ცელიაკიით დაავადებულ 5 ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ 4 პირზე 1000 ლარის ოდენობით.

- **თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის დახმარებვის პროგრამა -187 200 ლარი;(2024 წლის მაჩვენებლის ტოლია)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ორი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 100 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.

- **სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა- 700 000 ლარი; (7,7% ზრდა 2024წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან მიმართებაში)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარებისათვის იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომელიც ნაწილობრივ ან /არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით.

- **ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი - 1 080 800 ლარი;** ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობას,კერძოდ: ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით;

2. ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზებას: მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზებასა და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფას .

3.მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერას:

ა) 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა და ასევე 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მხცოვანი (80 წლის და მეტი) მწოლიარე ბენეფიციარების უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით;

ბ) მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი

ბალიშით, რომელიც ,,ტეტრაპარეზი"-ს, მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან.

გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.

- **მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა -800 000 ლარი;**

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; ომის ვეტერანებს; ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს; მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს და მარტოხელა ასაკით პენსიონერებს. აღნიშნული ბენეფიციარები წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით.

➢ სოციალური დაცვის ღონისძიებები - 5 858 200 ლარი; (ზრდა 41,4 %)

- **ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების პროგრამა - 21 480 ლარით განისაზღვრა ;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას.

- **დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა - 18000ლარი;**

- ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლი 9 დედმამით ობოლი ბავშვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმამარებას თვეში 200 ლარის ოდენობით.(ნაცვლად 100 ლარისა)

- **მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა- 550 100 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის (სოციალურად დაუცველი ფენის- სარეიტინგო ქულა 0-დან 100 001-მდე, მარტოხელა პენსიონერი, დედ-მამითობოლი ბავშვი, უსახლკარო, შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი) ბენეფიციარის უზრუნველყოფას კვირაში 7 დღე ცხელი საკვებით. 2025წელს ქვეპროგრამაში ჩართული იქნება 400 ბენეფიციარი ნაცვლად 370 ბენეფიციარისა. ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია მუნიციპალური უფასო სასადილოში მომწოდებლის მიერ 2023 წელს გაწეული მომსახურების დავალიანების დაფარვაც თანხით 26750 ლარი.

- **ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირების პროგრამა- 50 000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცალკეული სოციალური ჯგუფების ოჯახების გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით. ქვეპროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახები, 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახები და ასევე 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირების ოჯახები.

- **მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 70 000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 600 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 800 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 1000 ლარი.

- **მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა - 240000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმამარებას თითოეულ ბავშვზე თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროებათ ბავშვების ზრდისა და განვითარებისთვის.

- **გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 50 000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ პირთა (სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე) გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადად დახმარებას 600 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამაში ასევე, გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაკრძალვა ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას.

- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 95 000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას, 1500 ლარის ოდენობით.
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 4 მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები), რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.

- **დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარების პროგრამა - 140 000ლარი;**

  თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას 80 ლარით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ მდებარე დიალიზის ცენტრებამდე 150 ლარით; ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 001- მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით.

- **მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის პროგრამა - 823620 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი ოჯახებისათვის, რომელთა საცხოვრებელი სახლი ამორტიზირებულია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენა-რეაბილიტაციას, მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას.

- **ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა – 2 553 700 ლარი.** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული, ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობის გაგრძელებასს.

- **სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება 1 246 300 ლარი;**

გამომდინარე იქედან რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარაებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. 2021 წლის შემოდგომაზე მოსულმა უხვმა ატმოსფერულმა ნალექმა დიდი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, მნიშვნელოვნად გაზარდა ქირის მიმღები ოჯახების რაოდენობა და საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის რამოდენიმე ავარიული/ამორტირიზებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიც. შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არსებული სახით შენობის ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი, შესაბამისად, აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში ცხოვრება არ არის უსაფრთხო. საჭიროა ავარიული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლებზე დროებითი თავშესაფარის უზრუნველყოფის მიზნით დახმარების გაწევა.

, ამიტომ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, როგორც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ასევე, ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების ოჯახების დროებითი უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარებას.

➢ **მმართველობა - 9 462 021 ლარი, მათ შორის:**

- მუნიციპალიტეტის საკრებულო- 1 604 400 ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 6 678 103 ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 350 000 ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა 681 418 ლარი, მათ შორის ძირი 363752 ლარი და პროცენტი - 163445ლარი;
- დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი- 115100 ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 3 000 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა 30 000 ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2025 წლის გეგმა
	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	87,201,000
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,604,400
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	6,678,103
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1,179,518
01 02 01	სარეზერვო ფონდი	350,000

01 02 02	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა	681,418
01 02 03	დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	115,100
01 02 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	3,000
01 02 05	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	30,000
02 01	***საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა***	***14,489,725***
02 01 01 03	საგზაო მონიშვნები	70,000
02 01 01 05	ვიდეო-კამერების ექსპლოატაცია	350,000
02 01 01 06	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა	3,000,000
02 01 04	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა	1,346,130
02 01 01 09	ქ. ქობულეთში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	250,970
02 01 01 10	ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №530-ის მიმდებარედ გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები	232,877
02 01 01 11	ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №318-ის მიმდებარედ გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები	133,543
02 01 01 12	ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირის N86-ის მიმდებარედ გზის გამყოფისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა	649,846
02 01 03	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნება	125,959
02 01 05	გარე განათების ღონისძიებები	2,330,400
02 01 06	ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების-სამუშაოები	6,000,000
02 02	***კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია***	***10,554,308***
02 02 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები	1,498,186
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპოლუატაცია	7,645,948
02 02 03	სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა	1,246,584
02 02 04	უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი	50,000
02 02 05	შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური	113,590
02 03	***მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები***	***16,549,299***
02 03 01	სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები	13,962,035
02 03 01 07	ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის №271-ში სკვერის მოწყობა	850,000
02 03 01 13	ქალაქ ქობულეთში, ახალი სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობა (I ეტაპი)	7,300,000
02 03 01 15	ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მტს-ის სანაპიროს (სკვერი) კეთილმოწყობის სამუშაოები	84,264
02 03 01 18	ქ. ქობულეთში, ეკო-პლაჟის სკვერის მოწყობა	1,887,848
02 03 01 19	ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი №578-ის მოპირდაპირედ სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები	1,120,826
02 03 01 20	ქ. ქობულეთი, რუსთაველის №162ა-ში ეზოს (სკვერის) კეთილმოწყობის	237,401

	სამუშაოები	
02 03 01 21	ქ. ქობულეთში სკვერებში ღობეებისა და გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები	787,473
02 03 01 22	ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141-ში, ეზოს სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	234,792
02 03 01 23	ქ. ქობულეთი, 9 აპრილის ქუჩა №109 (დევნილთა სახლი) ეზოს სკვერის რეაბილიტაცია	350,000
02 03 01 24	ქ. ქობულეთი, მემედ აბაშიძის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები	1,077,350
02 03 01 25	ქ. ქობულეთში, თამარ მეფის №88-ს ეზოს/სკვერის რეაბილიტაცია	32,081
02 03 03	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	400,000
02 03 04	აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი	6,000
02 03 11	ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი	300,000
02 03 12	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი ციხისძირის ცენტრის კეთილმოწყობა	436,308
02 03 13	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი გვარას ცენტრის კეთილმოწყობა	279,907
02 03 14	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი ქვედა აჭყვას ცენტრის კეთილმოწყობა	623,583
02 03 15	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლების (აჭი) ცენტრის კეთილმოწყობა	300,000
02 03 16	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპირფარეშოების მშენებლობა/რეაბილიტაცია	241,466
02 04	ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	-
03 00	***დასუფთავება და გარემოს დაცვა***	***7,653,145***
03 01 01	დასუფთავების ღონისძიებები	85,000
03 01 02	ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება	5,713,380
03 02 01	ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება	952,665
03 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	902,100
04. 00	***განათლების ხელშეწყობა***	***12,485,154***
04 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	10,902,800
04 01 02	საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	1,582,354
05. 00	***კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები***	***7,366,648***
05 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	786,000
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	235,000
05 01 03	სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა	673,555
05 01 04	სპორტული მოედნების მოწყობა	751,718
05 01 05	შპს ქობულეთის სტადიონი	290,075
05 02 01	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"	1,028,100
05 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	1,352,600
05 02 04	გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"'	1,019,200
05 02 05	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	142,500
05 02 06	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	173,800

05 02 07	ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	424,100
05 02 08	წარმატებულ სტუდენტთა წახალისება	310,000
05 02 10	ქობულეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება	180,000
06 00	***მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა***	***8,640,700***
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	14,500
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	187,200
06 01 03	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	700,000
06 01 04	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	1,080,800
06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	800,000
06 02 01	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	21,480
06 02 02	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	18,000
06 02 05	მუნიციპალური უფასო სასადილო	550,100
06 02 06	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	50,000
06 02 07	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	70,000
06 02 08	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	240,000
06 02 09	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	50,000
06 02 10	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	95,000
06 02 11	დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება	140,000
06 02 12	მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა	823,620
06 02 13	ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა (ფადიკო გოგიტიძის) N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა	2,553,700
06 02 14	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება	1,246,300

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთოდანიშნულების სახელმწიფო მომსახურება --9 462021 ლარი;*
- *ეკონომიკურისაქმიანობა - 12 159 325 ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 7 044 964 ლარი;*
- *საბინაო-კომუნალურიმეურნეობა - 29 140 088 ლარი;*
- *ჯანმრთელობისდაცვა - 2 782 500 ლარი;*
- *დასვენება, კულტურადარელიგია - 6 454 648 ლარი;*
- *განათლება - 14 299 254 ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 5 858 200 ლარი;*
-

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2025-2028 წლები);
2. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
3. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ბ) წლიური ბიუჯეტის პროექტი ასახავს ქვეყანაში არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი